ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს N1 სკოლა
შეფასების თარიღ(ებ)ი:
05-06 აპრილი, 2023 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
21.04.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	**შპს N1 სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**ს/კ: 212690729**

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქუთაისი**
იურიდიული მისამართი	**ირაკლი აბაშიძის გამზირი N13 ა**
ფაქტობრივი მისამართი	**ირაკლი აბაშიძის გამზირი N13 ა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

საფოსტო ინდექსი	**4600**
დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://skola1.ge/**
დაწესებულების ელ-ფოსტა	**kutaisi.school.n1@gmail.com**
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**(+995 431) 29 77 74**
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**გოჩა გოქაძე**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**568 33 22 33**
ელ-ფოსტა	**kutaisi.school.n1@gmail.com**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს N1 სკოლაში ვიზიტის შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 13 მარტის ბრძანება MES 0 23 0000285636
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	05.04.2023 -06.04.2023
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ქეთევან ბოტკოველი
წევრი (სახელი, გვარი)	იზაბელა იოსელიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის			
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6/ პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით			
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას			
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები			
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად			
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას,	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პასუხისმგებლობის გადანაწილებას			

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი		
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი		
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი		

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი		
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი		
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	შპს N1 სკოლა დაარსდა 1992 წელს, საგანმანათლებლო საქმიანობა კი 1993 წლის სექტემბრიდან დაიწყო. სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ყველა სახის სასწავლო კონკურსსა თუ ოლიმპიადაში და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. სკოლაში მიმდინარეობს პროექტული სწავლება ყველა საგანში, მაქსიმალურად არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები და ისინი აქტიურად არიან ჩართული სკოლის ცხოვრებაში. მას შემდეგ, რაც ქვეყნის მასშტაბით ერთიანი ეროვნული გამოცდები დაინერგა, სკოლის მოსწავლეები საუკეთესო შედეგებითა და სახელმწიფო დაფინანსებით ირიცხებიან სხვადასხვა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში. სკოლაში არსებული ურთიერთობები მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული. სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს საშუალება აქვს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. სკოლაში ყველა პრობლემის გადაწყვეტა ხდება გუნდურობის პრინციპით. სკოლის განსაკუთრებული პრიორიტეტებია: ტექნიკური მეცნიერებებისა და უცხოური ენებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; ასევე, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მიმართულებით, შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვა; ესგ-ის მოთხოვნების განხორციელებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა. 2018 წლიდან სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მემორანდუმის ფარგლებში მუშავდება და ხორციელდება ერთობლივი პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს მეცნიერების პოპულარიზაციას მოსწავლეებში და მათ პროფესიულ ორიენტირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების მისია	სკოლის მისიაა აღზრდა - ჩამოყალიბება ისეთი განათლებული, კრიტიკულად მოაზროვნე, ჯანსაღი, ტოლერანტი, კონკურენტულ გარემოში თვითდამკვიდრების უნარის მქონე ჰარმონიულად განვითარებული პიროვნებისა, რომელიც ორიენტირებულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. სკოლა წარმართავს პიროვნებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესს; აღსაზრდელებისთვის ქმნის უსაფრთხო გარემოს, სადაც ისინი განივითარებენ პოზიტიურ უნარ-ჩვევებს, შეძლებენ მიღებული ცოდნის წარმატებით გადატანასა და გამოყენებას განსხვავებულ სიტუაციებში, რაც ხელს შეუწყობს მათ ადაპტაციას, თავისუფალ აზროვნებას, თვითდამკვიდრებას.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**არ გაცემულა**

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

14

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტი ეთანხმება ☒	*აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

საგანმანათლებლო პროგრამები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს N1 სკოლა წარმოადგენს კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე დაწესებულების მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის მიერ წარმოდგენილი 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ სკოლის დირექტორთან შეთანხმებით (ოქმი№1 05/09/2022). 2022-2023წ.წ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია: • სასკოლო სასწავლო გეგმის მიზანი, ამოცანები და სტრუქტურა; • სკოლის მისია; • სასკოლო საათობრივი ბადე; • დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა: • საგანმანათლებლო რესურსები; • მოსწავლის შეფასების სისტემა; • ინკლუზიური განათლება; • სადამრიგებლო პროგრამა; • სავალდებულო და არჩევითი საგნები; • დასკვნითი დებულებანი. დირექციისა და კათედრების მონაწილეობით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასკოლო გეგმის თანახმად, რაც ასევე დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, სკოლის დირექცია, დამტკიცებულ სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, აცნობს მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად კლასის დამრიგებლების მეშვეობით, არა უგვიანეს სასწავლო წლის დაწყებიდან პირველი კვირის ბოლომდე, რითაც უზრუნველყოფილია ამ დოკუმენტის სრული ვერსიის თანაბარი ხელმისაწვდომობა. სასკოლო სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგსა და შედეგების ანალიზზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით, ეროვნული სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამების შესაბამისად, მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიკურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები ესგ-ის შესაბამისად ერთიანდებიან საგნობრივ ჯგუფებში: ა) სახელმწიფო ენა • ქართული ენა და ლიტერატურა (ისწავლება I- XII კლასებში); ბ) მათემატიკა • მათემატიკა (ისწავლება I- XII კლასებში); გ) უცხოური ენები: • პირველი უცხოური ენა (ინგლისური ენა- ისწავლება I- XII კლასებში); • მეორე უცხოური ენა (რუსული ენა/ გერმანული ენა - ისწავლება III- XII კლ.) დ) საზოგადოებრივი მეცნიერებები • მე და საზოგადოება (ისწავლება III- I V კლასებში); • ჩვენი საქართველო (ისწავლება V - V I კლასებში); • საქართველოს და მსოფლიო ისტორია (ისწავლება VII - XII კლასებში) ; • გეოგრაფია (ისწავლება VII - VIII კლასებში); • საქართველოს გეოგრაფია (ისწავლება IX კლასში); • მსოფლიოს გეოგრაფია (ისწავლება X კლასში); • გლობალური პრობლემების გეოგრაფია (ისწავლება XI კლასში); • სამოქალაქო განათლება (ისწავლება VII - X კლასებში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება(ისწავლება XII კლასში I სემესტრი); • საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება (ისწავლება XI კლასში) • პროექტი სამოქალაქო განათლებაში (X კლასში). ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: • ბუნებისმეტყველება (ისწავლება I - V I კლასებში); • ბიოლოგია (ისწავლება VII - XI კლასებში); • ფიზიკა (ისწავლება VII - XI კლასებში); • ქიმია (ისწავლება VIII - XI კლასებში). ვ) ტექნოლოგიები: • ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისწავლება I-V I კლასებ-ში სასწავლო წლის განმავლობაში). ზ) ესთეტიკური აღზრდა: • სახვითი ხელოვნება (ისწავლება I - I X კლასებში); • მუსიკა (ისწავლება I - I X კლასებში); • პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში (ისწავლება X კლასში); • პროექტი მუსიკაში (ისწავლება X I კლასში, 2023-2024 სასწ.წ.). თ) სპორტი: • ფიზიკური აღზრდა (ისწავლება I - V I კლასებში). • ფიზიკური აღზრდა და სპორტი (ისწავლება V I I - XII კლასებში). ი) ჭადრაკი (ისწავლება I კლასში). **სკოლის განსაკუთრებული პრიორიტეტებია:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ტექნიკური მეცნიერებებისა და უცხოური ენებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; ასევე, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მიმართულებით, შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვა; ესგ-ის მოთხოვნების განხორციელებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა. ყოველივე ზემოხსენებული ასახვას ჰპოვებს **საათობრივ ბადეშიც (საათობრივი ბადე შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტთან 01/11/2022 MES 3 22 0001387951),** რომლის თანახმად, სკოლა ესგ-ს სტანდარტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში, მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საათობრივ დატვირთვას: • ქართულ ენასა და ლიტერატურაში გაზრდილია კვირეული საათები: III - IX კლასებში, 1 კვ.სთ-ით. • მათემატიკა გაზრდილია: II -VIII კლასებში 1 კვ. სთ -ით. • პირველი უცხოური ენა - I კლასში I სემესტრში იწყება 2 კვ. სთ-ით.; კვ. საათების რაოდენობა გაზრდილია II-X კლასებში 1 კვ.სთ-ით, ხოლო XI-XII კლასებში 2 კვ.სთ-ით. • მეორე უცხოური ენა (რუსული / გერმანული), იწყება III კლასიდან - 2 კვ.სთ. დამატებითი საათები სასწავლო პროგრამებში ცვლილებას არ ითვალისწინებს. დამატებითი საათები გამოყენებულია პროექტებისა და მრავალფეროვანი აქტივობებისათვის, დასწავლილი მასალის პრაქტიკული გამოყენებისათვის. დამატებით საათებზე დასწრება სავალდებულოა ყველა მოსწავლისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში, წარმოდგენილია ასევე მოსწავლეთა აუცილებელი **კვირეული დატვირთვის ოდენობა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დისტანციური სწავლებისას კლასებისა და საგნების მიხედვით, რაც სრულად შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს. **არაფორმალური განათლების მიზნით,** სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს: მათემატიკის საოლიმპიადო, ინფორმატიკის, ინგლისური ენის და ცეკვის წრეებს. მოსწავლეები გაერთიანებულნი არიან ასევე ინგლისური ენისა და ლიტერატურულ კლუბებში. აღსანიშნავია, რომ სასკოლო წრეებში, საკუთარი სურვილით, გაერთიანებული არიან არა მარტო შ.პ.ს. N 1 სკოლის, არამედ ქალაქ ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლების განსაკუთრებული მიდრეკილების მქონე მოსწავლეებიც, **2022-2023 სასწავლო წლის კალენდარი** - შესაბამისობაშია ესგ-ით განსაზღვრულ სასწავლო წლის კალენდართან (სასწავლო წლის დაწყების და დასრულების თარიღები, არდადეგების ხანგრძლივობა და უქმე დღეები). **არჩევითი საგნები** - დოკუმენტის თანახმად არჩევითი საგნების სწავლების მთავარი მიზანია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოება და მათი გამოცდილების გამდიდრება. საკუთარი სურვილის მიხედვით არჩეული საგნის სწავლება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, მოსინჯონ საკუთარი ძალები სხვადასხვა საგანმანათლებლო სფეროში და უფრო ზუსტი წარმოდგენა შეიქმნან საკუთარი მიდრეკილებებისა და მომავალში ასარჩევი გეზის შესახებ. არჩევითი საგნები ისწავლება კვირაში ერთსაათიანი დატვირთვით. XII კლასის მეორე სემესტრში არჩევითი საგნები არ ისწავლება. 2022-2023 სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა მიერ არჩეულია შემდეგი საგნები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	- **მსოფლიო კულტურა** (ისწავლება X კლასში). - **ამერიკისმცოდნეობა** (ისწავლება XI კლასში). - **პროექტი მუსიკაში** (X I I კლასში) **მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და** განსაზღვრავს შეფასების მიზანს და ამოცანებს, შეფასების ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასებას დონეების მიხედვით, ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნებს, ქულების გამოანგარიშებისა და გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესებსა და პირობებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გამოცდების ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარებას, ასევე სხვადასხვა ტიპის დავალებების ზოგადი შეფასების რუბრიკების ნიმუშებს. **საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი** - საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია: ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები; ბ) დამხმარე ლიტერატურა, მხატვრული ლიტერატურა, წყაროები; გ) საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები; დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.); ე) ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლაში არსებული სხვადასხვა **საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის წესები.** სახელმძღვანელოებს, მათ შორის დამხმარეს, ირჩევენ კათედრები, სკოლის თითოეული კლასის ყველა პარალელში საგანი ისწავლება ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი. მასწავლებელს უფლება აქვს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სწავლებისას გამოიყენოს ნებისმიერი დამხმარე/დამატებითი მასალა, რომელიც არ ეწინააღმდეგება ესგ-ს მოთხოვნებს. სსგ-ით განსაზღვრულია ასევე სკოლის უფლებამოსილება, სსსმ მოსწავლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სწავლება განახორციელოს ნებისმიერი კლასის/დონის გრიფირებული ან ადაპტირებული გრიფირებული სახელმძღვანელოთი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასშია ეს მოსწავლე. სსსმ მოსწავლეების სწავლებისას შესაძლებელია გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოსთან ერთად, როგორც ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი, გამოყენებულ იქნეს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული სხვა საგანმანათლებლო რესურსები/ სერვისები. სკოლაში უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო რესურსების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა, რისთვისაც სკოლაში არჩეული სახელმძღვანელოების სია იკვრება თვალსაჩინო ადგილას სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე. **სადამრიგებლო პროგრამა** - კლასის დამრიგებელთა ორგანიზებულად მუშაობისა და თანამშრომლობისთვის, გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და პროფესიული დონის ამაღლების, სიახლეების მოძიებისა და დანერგვის მიზნით სკოლაში შექმნილია კლასის დამრიგებელთა კათედრა. კლასის დამრიგებლის მუშაობა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: **სრულფასოვანი აღზრდა** - სააღმზრდელო მუშაობა მიმართულია პიროვნების ფიზიკური, შემეცნებითი და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ. **მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა** - კლასის დამრიგებელი ახდენს მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედებას და მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნას. **მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება** - კლასის დამრიგებელი მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალებას აძლევს მათ, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმი, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. კლასის დამრიგებელი მაქსიმალურად ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესს. **თანამშრომლობის პრინციპი** -კლასის დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან ემყარება თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემას და ურთიერთნდობას. შემუშავებულია სადამრიგებლო მუშაობის დებულება და სამოქმედო გეგმა. სასკოლო-სასწავლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია **ინკლუზიურ განათლებასთან** დაკავშირებულ საკითხებზე. კერძოდ, სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირებასთან, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფის, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრების და გაცდენების, შინ სწავლების, სპეციალური მასწავლებლის ფუნქციების შესახებ. **წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • პედსაბჭოს კრების ოქმი-1; 05/09/2022; • საათობრივი ბადის შეთანხმების წერილი; • მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები; • დირექციასთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ითვალისწინებს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს. სკოლაში განსაზღვრულია სამივე საფეხურის მიზნები, რომელთა განხორციელებასაც ემსახურება სკოლაში არსებული 7 საგნობრივი კათედრა: • ქართული ენისა და ლიტერატურის; • მათემატიკის; • უცხოური ენების (პირველი ენა, მეორე ენა); • საზოგადოებრივი მეცნიერებების; • საბუნებისმეტყველო მეცნიერებების; • ფიზიკური,შრომითი და ესთეტიკური აღზრდის; • კლასის დამრიგებელთა. კათედრის ფუნქციონირების დეტალები გაწერილია შვიდივე კათედრის დებულებაში. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა მასწავლებლების და კათედრების ელექტრონული პორტფოლიოები. პორტფოლიოებში განთავსებულია 2022-2023 სასწავლო წლის საგნის წლიური თემატური გემები, კათედრის ზოგადი დებულება, სამუშაო გეგმები, კათედრის სხდომის ოქმი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლის სამოქმედო გეგმა, დაგეგმილი შემაჯამებელი დავალებების განრიგი, შეფასების რუბრიკები, სკოლის მიერ შემუშავებული შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები, სადაც გაწერილია შემაჯამებელი დავალების თემა, ფორმა, ჩატარებისა და შემაჯამებელი დავალების გაცნობის თარიღები, სტანდარტის შედეგები, რომლის დაკმაყოფილებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება, შეფასების სქემა, მასწავლებლის კომენტარი და რეკომენდაციები მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისთვის. წარმოდგენილია კათედრების თავმჯდომარეების ანგარიშები, ასევე კათედრის სამუშაო პროგრამა. მასწავლებელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილია შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, მათი ანალიზი, შეფასების რუბრიკები და რიგ შემთხვევაში შეფასებები სოლო ტაქსონომიის მიხედვით. შემაჯამებელი დავალებების შეფასების ანალიზში, მასწავლებლებს განხილული აქვთ თითეული მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეები და აღნიშნული აქვთ, რომ გეგმავენ დამატებით აქტივობებს შედეგების გასაუმჯობესებლად, <u>თუმცა რიგ შემთხვევებში არ არის მითითებული კონკრეტულად რა დავალებებს შესთავაზებენ მოსწავლეებს სიძნელეების დასაძლევად, რასთან დაკავშირებითაც მასწავლებლებს მიეცათ რჩევა - მიუთითონ კონკრეტული დავალებები კონკრეტულ მოსწავლეებთან მიმართებით.</u> პორტფოლიოების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლის ყველა კათედრა აქტიურად მუშაობს პროექტულ სწავლებაზე. ინგლისური ენის მასწავლებლები ჩართულები არიან და მოსწავლეებიც აქტიურად ახორციელებენ საერთაშორისო პროექტებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მონაწილეობენ English book education-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კონკურსებში და წარმატებებს აღწევენ. მაგ: საბაზო საფეხურის მოსწავლეები, როგორც საუკეთესო პროექტის ავტორები სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ. ამავე პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სკოლის მე-3, მე-4, მე-5 კლასის მოსწავლეებმა და გახდნენ რჩეული პროექტის ავტორები, რისთვისაც დაჯილდოვდნენ Macmillan Education-ის სერტიფიკატებით. კონკურსში ,,**Summer Reading Challenge**" სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე გახდა ჟიურის რჩეული და ოქროს სერთიფიკატის მფლობელი. წარმოდგენილი მასალით დგინდება ასევე მოსწავლეების აქტიური ჩართულობა მათემატიკის შიდა სასკოლო და სხვა ოლიმპიადებში, რომლებშიც მოსწავლეთა უმრავლესობამ დაიმსახურა საპატიო ადგილები. ასეთი ოლიმპიადებია: "ჟაუტიკოვის საერთაშორისო ოლიმპიადა", "კინგსი", "ევერესტი", "კენგურუ", "მოაზროვნე", eschool.edu.ge-ის მიერ ორგანიზებული ოლიმპიადა და სხვ. აღსანიშნავია ასევე პროექტები: **„π რიცხვის საერთაშორისო დღე", „ნარჩენების მართვა", „გეომეტრია არქიტექტურაში", „Universal Content in Math and Science".** სკოლის 7 ბ და 8 ა კლასის მოსწავლეები ჩართული იყვნენ ფინედუს (ფინანსური განათლების პორტალი) მიერ ორგანიზებულ ფინანსური განათლების ონლაინ კურსში. კურსის ფარგლებში განიხილეს შემდეგი თემები: დაზოგვა, პირადი ფინანსების მართვა, სესხება. სასწავლო წლის დასაწყისში დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების სწავლების პროცესში ეწყობა მარტივი ექსპერიმენტების კვირეული, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეებში კვლევა-ძიების უნარ ჩვევების ჩამოყალიბებას, მოტივაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ამაღლებას. ბიოლოგიის საგნის ფარგლებში ჩატარდა არაერთი ღონისძიება, მათ შორის: დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, დედამიწის საერთაშრისო დღე (მოსწავლეებმა შექმნეს შემოქმედებითი პროდუქტი - მოლაპარაკე მაისურები, საინფორმაციო ბუკლეტები, სადისკუსიო კითხვები, მრავალფეროვანი და საინტერესო თემატიკის პრეზენტაციები), პროექტი „ადამიანი და ჯანმრთელობა“ (VIII და IX კლასის მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებდნენ სხვადასხვა დაავადებების შესახებ ინფორმაციას. ახდენდნენ ინფორმაციის გაცვლას და სახავდნენ სხვადასხვა დაავადების თავიდან აცილების გზებს. VIII კლასმა წარმოადგინა პრეზენტაცია დისკოზისა და ართრიტის შესახებ). სასწავლო პროექტის „რადიაცია და ჯანმრთელობის“ ფარგლებში VI გ კლასის მოსწავლეებმა შექმნეს პოსტერი “რადიაცია და ადამიანი“. ფიზიკის გაკვეთილზე ჩატარდა პრეზენტაცია თემაზე: ,,მარტივი მექანიზმები და მათი გამოყენება ყოფა-ცხოვრებაში“. პრეზენტაცია წარმოადგინეს 8-ა კლასის მოსწავლეებმა. IX კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ამერიკული ქიმიური საზოგადოების მიერ ორგანიზებულ STEM აკადემიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში. როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები ჩაერთვნენ ქიმიურ ექსპერიმენტში, მიიღეს მონაწილეობა ვიქტორინაში და მოიპოვეს შესაბამისი სერთიფიკატები. **საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე** განხორციელდა პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია“, რომლის მიზანი იყო თანამშრომლობითი, შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, ასევე მოქალაქეობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება მოსწავლეებში და პიროვნებისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელობის გააზრებით ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** განხორციელდა პროექტი „კომიქსების წიგნი“ კლასგარეშე საათის ფარგლებში V კლასის მოსწავლეებმა წაიკითხეს ამერიკელი მწერლის, ლინდა მალალი ჰანთის ნაწარმოები „თევზი ხეზე“, ხოლო წიგნის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებს დაევალათ, შეექმნათ ადაპტირებული ვერსია კომიქსების საშუალებით. მათ უნდა აერჩიათ სასურველი და მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდები და მოეთხროთ იგი კომიქსების საშუალებით. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** კათედრაზე სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა მოამზადეს საშემოდგომო გამოფენა, რომელიც მოიცავდა არა მარტო ნახატებს, არამედ ქანდაკებას, კოლაჟებს, ინსტალაციას და ბუნებრივი მასალებით მუშაობას. **მუსიკის** პედაგოგების აქტიური ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა მოამზადეს საახალწლო სიმღერები ქართულ და ინგლისურ ენებზე. სკოლის დარბაზში მოსწავლეებმა წარმოადგინეს საახალწლო სპექტაკლები და ღონისძიება, რომელშიც აქტიურობდნენ მუსიკისა და ინგლისური ენის პედაგოგებიც. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ყველა მასწავლებელი ზრუნავს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. ამავე მიზანს ემსახურება ის კლუბები და წრეები, რომლებიც შექმნილია სკოლაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ამავე მისიით სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა თვითმართველობა, რომელშიც გაერთიანებულია საბაზო და საშუალო საფეხურების ყველა კლასის თითო წარმომადგენელი და რომლის მთავარი მიზანი, დებულების თანახმად, არის - მოსწავლეთა წინაშე წამოჭრილი პრობლემების თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებისდაგვარად მოწესრიგება, მათი უფლებების დაცვა. ასევე მოსწავლეთა ინტერესების, ინიციატივების, სურვილების მიტანა სკოლის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, აქტიური მონაწილეობის მიღება ჯანსაღი ცხოვრების წესისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებაში, სამოქალაქო აზროვნების ჩამოყალიბებაში და მოსწავლეთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად/დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა სახის ღონისძიებების, შეხვედრების, დებატების, დისკუსიების საკუთარი ინიციატივით მოწყობა. თვითმართველობის წევრებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ სკოლის დირექციასთან, მონაწილეობას იღებენ სკოლის ღონისძიებებში და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით თავადაც ახორციელებენ ღონისძიებებს. მათი ინტერესების გათვალისწინებით შექმნილია სკოლაში კლუბები და წრეები. ექსპერტების მირ შესწავლი იქნა თვითმართველობის ანგარიში, რომლის თანახმად პირველ სემესტრში ჩატარებულია რიგი ღონისძიებებისა. მათ შორის: • საქველმოქმედო ღონისძიებები (სკოლის დერეფანში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას კვირების განმავლობაში იდგმებოდა ყუთები და მათი ავსების შემდეგ სკოლის მოსწავლეები და მოხალისე ლოჯისტიკის ჯგუფები ყოველ კვირას 1 თვის მანძილზე ეხმარებოდნენ მრავალშვილიან ოჯახებს).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• მაკულატურის ყუთის დაარსება (ამ პროექტის ფარგლებში საინიციატივო ჯგუფებმა გაზარდეს ცნობიერება კლასებში თუ რა ზიანს აყენებს ამდენი ხის მოჭრა და ფურცლების გადამუშავება ბუნებას და დაიწყეს მაკულატურის შეგროვება, ჩაბარება და წიგნებში გაცვლა, რაც შემდეგ ბიბლიოთეკას აჩუქეს). • ინტელექტუალური ღონისძიებები (სკოლაში აქტიურად იმართებოდა სხვადასხვა სახის შემეცნებითი ღონისიძიებები, როგორიცაა: რა?სად?როდის? ტვინების ბრძოლა და ეტალონი). • სპორტული ღონისძიებები (ფრენბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში, ჭადრაკში). • სხვადასხვა თემატიკის კლუბების დაარსება (იმისათვის რომ გამჭირვალე ყოფილიყო ყველა არსებული პრობლემა თვითმართველობამ დააარსა რეფლექსიის ჯგუფი, სადაც ბავშვები კვირის ბოლოს იკრიბებიან და უზიარებენ ერთმანეთს არსებულ პრობლომებს, რათა ერთად მოაგვარონ ისინი. შეიქმნა „ფსიქოლოგიური წრეები“, სადაც მოსწავლეები საკუთარი გამოცდილებით ეხმარებიან ერთმანეთს პრობლემების გადალახვაში). • ყოველ კვირეული პრეზენტაციები (ჯგუფი გამოკითხვის შედეგად მოსწავლეები ირჩევენ ერთ აქტუალურ თემას, რომელთან დაკავშირებითაც აკეთებენ პრეზენტაციებს და უზიარებენ კლასებს. ყველაზე აქტუალური თემები იყო პროფესიის არჩევა და არაფორმალური განათლება. • სკოლის სახელით არაფორმალურ ღონისძიებაში ჩართვა (სკოლის სახელით მოსწავლეები დაესწრნენ ქუთაისის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წარდგენას, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს ექიმი (პედიატრი), რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. კაბინეტი მოწყობილია კანონმდებლობის შესაბამისად და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (სამედიცინო საწოლი, საკაცე, სამედიცინო შირმა, კარადა მედიკამენტებისათვის, მაცივარ-საყინულე), სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ოთახში არის წყლის ნიჟარა, ცივი და ცხელი წყლით. კაბინეტს აქვს ბუნებრივი განათების და განიავების შესაძლებლობა. ადგილზე დათვალიერებისას გადამოწმდა მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა, მედიკამენტების გაცემა აღრიცხება ექიმის მიერ შემთხვევების აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალში, გამოკრულია პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია გაწერილია სკოლის ექიმის თანამდებობრივ ინსტრუქციაში. მოსწავლეთა და თანამშრომელთა მომსახურება ხდება ორი სახით: 1) პროფილაქტიკური მომსახურება; 2) პირველადი დახმარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სამედიცინო დახმარების მექანიზმები; • სკოლის შინაგანაწესი; • ჩანაწერების ჟურნალი; • ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება; • ექიმის პირადი საქმე; • სამედიცინო მედიკამენტების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად არის შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ (ბრძანება N05/544, 22 წლის 12 სექტემბერი). დასკვნა დოკუმენტის შესახებ სკოლას გადმოეგზავნა განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2020 წლის 05 თებერვალს, რომლის თანახმად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას მიეცა რამდენიმე რეკომენდაცია. ძირითადი შენიშვნები გაცემული იყო მანდატურის სამსახურთან დაკავშირებით, რომელიც ფიგურირებდა დოკუმენტში, თუმცა სკოლას სამსახურთან ხელშეკრულება არ ჰქონდა გაფორმებული. სკოლამ გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია, შესაბამისად სკოლაში შეიქმნა უსაფრთხო სკოლის მენეჯერის ახალი პოზიცია და უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომელმაც შემუშავა სკოლის უსაფრთხოების საბჭოს წლიური სამუშაო გეგმა, დირექტორის ბრძანებით უსაფრთხო სკოლის მენეჯერის არყოფნის შემთხვევაში გამოიყო პირი რომელიც შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. აქვე აღსანიშნავია რომ სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის ასკობრივი ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს სკოლასთან და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს მათ პრობლემების დაძლევაში. სკოლის ფსიქოლოგის მოვალეობები შეთავსებული აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელსაც დამთავრებული აქვს გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის ასპირანტურა, მიმართულება ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია. სკოლამ წარმოადგინა ასევე დამრიგებელთა მორიგეობის განრიგი, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას და ზრუნავენ კლასში სასწავლო პროცესის დისციპლინის დაცვა–ამაღლებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სადამრიგებლო პროგრამები; • დამრიგებელთა მორიგეობის განრიგი; • შპს N1 სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• უსაფრთხო სკოლის მენეჯერთან გაფორმებული ხელშეკრულება; • აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი; • გასაუბრების შედეგები; • სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციებით დგინდება, რომ სკოლას აქვს სტანდარტის შესაბამისი უსაფრთხოების კამერები, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფილია სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი. სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 5 ერთეული (3 მგპ.) ხოლო შიდა პერიმეტრს - 11 ერთეული ვიდეო სამეთვალყურეო კამერა. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები'' არეგულირებს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ადმინისტრირების საკითხს და ვიდეოჩანაწერის დათვალიერების უფლებამოსილ პირებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება არსებული ვიდეო კამერებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ფლობის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს N1 სკოლაში შემუშავებულია გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები წესდებისა და შინაგანაწესის სახით. წესდების თანახმად სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ აკადემიურ, მეთოდურ და საორგანიზაციო (მათ შორის დისციპლინურ) საკითხებს წყვეტენ დირექტორი, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის შინაგანაწესი განხილულია პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე (05.09.2022 ოქმი N1) და დამტკიცებულია დირექტორის მიერ (ბრძანება 06/543, 12.09.2022). შინაგანაწესი შედგენილია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“, საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, მოსწავლის ქცევის კოდექსის, პედაგოგის პროფესიული სტანდარტის, სკოლის წესდებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, შეესაბამება სკოლის მისიას, ხედვასა და პრინციპებს. ის წარმოადგენს სკოლის მარეგლამენტირებელ დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს სკოლის დირექტორსა და დასაქმებულთა, მოსწავლეთა და მათ მშობელთა შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, ადგენს სკოლასა და მოსწავლეს, მათ მშობლებს შორის ურთიერთობათა პირობებს ხელშეკრულებებითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შინაგანაწესის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა სკოლაში დასაქმებულ პირთათვის, მოსწავლეებისთვის, მოსწავლის მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის, სკოლის ტერიტორიასა და შენობაში მყოფი ნებისმიერი პირისთვის. დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის კულტურა, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება და სწავლის პირობები, სასკოლო კალენდარი, სკოლის სტრუქტურა, სკოლის პედაგოგიური საბჭო, კათედრები, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის დამხმარე საშტატო და სტრუქტურული ერთეულები. შინაგანაწესით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის პირობები. განსაზღვრულია ასევე სტრუქტურული ერთეულების უფლება მოვალეობები, თვითთმართველობის, როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები, საგნობრივი კათედრების ფუნქციები, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოსა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების წესი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, ანაზღაურების გაცემის დრო, ოდენობა და ფორმა, ადამიანური რესურსის მართვა (რომლისთვისაც სკოლას გააჩნია: ნათლად ჩამოყალიბებული მისია და სკოლის კულტურა; ეფექტური სტრუქტურა; სამართლიანი დასაქმების პოლიტიკა; პროფესიული განვითარების პროგრამა; სასკოლო შეფასების სისტემა), სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლეთა სიიდან ამორიცხვის წესი, მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში (კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია დაწყებით საფეხურზე არაუმეტეს 16 მოსწავლით. ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე არაუმეტეს 18 მოსწავლით, რომლებიც საჭიროებისამებრ შეიძლება გაიყოს სხვადასხვა საგანში), სასკოლო პროცესში მონაწილეთა უფლება - მოვალეობანი, მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებლთა უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის მშობლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა სტიმულირების წესი, თანამშრომელთა სტიმულირების წესი, პასუხისმგებლობის ფორმები და მისი გამოყენების წესი, სკოლის ფინანსები, შინაგანაწესის დამტკიცებისა და ცვლილებების შეტანის წესი და სხვა საკითხები, რითაც სკოლა არეგულირებს სასწავლო პროცესს. <u>შინაგანაწესის 30-ე მუხლის მე-11 პუნქტში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, რაც გულისხმობს შემდეგ ჩანაწერს მოსწავლეს სტატუსი უწყდება, როცა: მოსწავლე ზედიზედ არ ცხადდება 45 დღე; სკოლის დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ჩანაწერი</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>გულისხმობს შეჩერებას და არა შეწყვეტას, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია - ჩანაწერი - მოსწავლეს სტატუსი უწყდება, როცა:.. შეიცვალოს ჩანაწერით მოსწავლეს სტატუსი უჩერდება როცა:...</u> სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია ასევე: შპს N1 სკოლის კათედრის დებულება, პედაგოგიური საბჭოს დებულება, ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი, სადამრიგებლო მუშაობის დებულება, მშობლებთან ურთიერთობის დებულება, წრეების და კლუბების დებულება, თვითმართველობის დებულება და სხვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებული ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ემსახურება სკოლის ეფექტურ მართვას და ისინი ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • წესდება; • კათედრის დებულება; • მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება; • ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი; • სადამრიგებლო მუშაობის დებულება; • მშობლებთან ურთიერთობის დებულება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა 2022-2028 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების და 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები. გეგმები დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით (N 06/547, 12.09.2022). წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არ არის სტრუქტურირებული, ის მოიცავს 14 აქტივობას, რომელიც სრულად ასახავს სკოლის საჭიროებებს, თუმცა მასში არ არის წარმოდგენილი სკოლის მისია, არ მოიცავს გრძელვადიან მიზნებს, შესრულების ინდიკატორებს, კონკრეტულ ვადებს, კონკრეტული პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია. 2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, სკოლის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებია: სკოლის საკანონმდებლო ბაზის შექმნა; მოსწავლეთათვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი განათლების მიცემა; საგანმანათლებლო ხარისხის ამაღლება; უსაფრთხო, ორგანიზებული და კარგად დისციპლინირებული გარემოს შექმნა; სკოლის ადამიანური და მატერიალური რესურსი; მშობელთა ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში; მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება; სასკოლო შეფასება. თითოეული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში აღწერილია შესასრულებელი აქტივობები, შესრულების პერიოდი. პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები. საქმიანობის ეფექტიანობისა და შესაძლებლობების განსაზღვრისთვის სკოლა ახორციელებს სიტუაციურ ანალიზს, რომლის საფუძველზეც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოკვეთს შესრულებული სამუშაოების ხარისხს, ადგენს პრობლემებს და აყალიბებს სამომავლო ამოცანებს. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და დახვეწას, ასევე მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, თუმცა მასში არ არის გაწერილი, ამოცანები და შესრულების ინდიკატორები. ორივე დოკუმენტთან მიმართებით სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები - შეიმუშავოს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის ფორმა, რომელიც უნდა მოიცავს გრძელვადიან მიზნებს (არაუმეტეს 5-6) და რომლებიც ჩაშლილი იქნება ამოცანებად, შესრულების ინდიკატორებად და გაწერილი იქნება დროში პასუხისმგებელი პირების მითითებით. სამოქმედო გეგმაში გაიწეროს, შესასრულებელი ამოცანები და შესრულების ინდიკატორები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა (2022/28 წწ); • ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023 სასწ.წ.); • ინტერვიუს შედეგები სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც წარმოებს შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა, ბრძანებების რეგისტრაცია და აღრიცხვა, ხელშეკრულებების რეგისტრაცია და აღრიცხვა, საარქივო დოკუმენტების აღრიცხვა და შენახვა. საქმეთა მმართველის მოვალეობები გაწერილია სკოლის დებულებაში. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ საქმისწარმოების ჟურნალებს, ,,შემთხვევითობის პრინციპით" შეარჩიეს და შეაფასეს ისინი. სკოლაში საქმისწარმოება დადგენილი წესის მიხედვით მიმდინარეობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი; • ბრძანებების რეგისტრაციის წიგნი; • შემოსული/გასული წერილების ჟურნალი; • ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	2.5. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ვებ გვერდზე მისიის განთავსებასთან დაკავშირებით. 2,7, შინაგანაწესის 30-ე მუხლის მე-11 პუნქტში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, რაც გულისხმობს შემდეგ ჩანაწერს მოსწავლეს სტატუსი უწყდება, როცა: მოსწავლე ზედიზედ არ ცხადდება 45 დღე; სკოლის დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ჩანაწერი გულისხმობს შეჩერებას და არა შეწყვეტას, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია - ნაცვლად ჩანაწერისა მოსწავლეს სტატუსი უწყდება, როცა: შეიცვალოს ჩანაწერით მოსწავლეს სტატუსი უჩერდება როცა:...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2.8 ორივე დოკუმენტთან (ექვსწლინი და ერთწლიანი გეგმები) მიმართებით სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები - შეიმუშავოს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის ფორმა, რომელიც უნდა მოიცავს გრძელვადიან მიზნებს (არაუმეტეს 5-6) და რომლებიც ჩაშლილი იქნება ამოცანებად, შესრულების ინდიკატორებად და გაწერილი იქნება დროში პასუხისმგებელი პირების მითითებით. სამოქმედო გეგმაში გაიწეროს, შესასრულებელი ამოცანები და შესრულების ინდიკატორები.
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის შესაბამისი აკადემიურ-ტექნიკური პერსონალი ჰყავს დასაქმებული. მართვის საინფორმაციო სისტემის, ESchool-ის ბაზის, მიხედვით სკოლაში 55 თანამშრომელია, მათ შორის: დირექცია (3 საშტატო ერთეული): დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი ბუღალტერი. ადმინისტრაცია (4 საშტატო ერთეული): ადმინისტრატორი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, უსაფრთხო სკოლის მენეჯერი, ასევე ბიბლიოთეკარი, ექიმი, საქმისმწარმოებელი, მასწავლებელი-45, ტექპერსონალი (2 საშტატო ერთეული): 2 დამლაგებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის დირექტორს შეთავსებული აქვს მათემატიკის საათები, ხოლო ფსიქოლოგის პოზიცია შეთავსებული აქვს ხარისხის მენეჯერს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მართვის საინფორმაციო სისტემის ESchool-ის ბაზის მონაცემები; • სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები; • საშტატო განრიგი; • თანამშრომელთა ხელშეკრულებები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**45**
მოწვეული/<u>მაძიებელი</u>	**2**
უსტატუსო მასწავლებლი	
უფროსი მასწავლებლი	**36**
წამყვანი მასწავლებლი	**4**
მენტორის სტატუსი	**3**

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩეულნი არიან "ზოგადი განათლების შესახებ" კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული 45 მასწავლებლისგან - 3 მენტორია, 4 - წამყვანი მასწავლებელია, 36 უფროსი და 2 მასწავლებლობის მაძიებელი. სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დიპლომი, სერტიფიკატი, მასწავლებლის CV, ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი ცნობა. ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ, ცნობა ნარკოლოგიურ აღრიცხვასთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მართვის საინფორმაციო სისტემის (ESchool) პორტირებული მონაცემები; • თანამშრომელთა პირადი საქმეები; • თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; • საშტატო განრიგი და მასწავლებელთა სათობრივი დატვირთვა; • ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუს შედეგები მასწავლებლებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში თანამშრომლების მიღება, გათავისუფლება, წახალისებისა და სანქციების სისტემის ამოქმედება ეფუძნება სკოლის შინაგანაწესში აღწერილ პროცედურებს. კერძოდ, დაწესებულებას გაწერილი აქვს თანამშრომელთა სამუშაოზე მიღების წესი, სადაც გაწერილია მიღება-გათავისუფლების პროცედურები და დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს. (თავი IV. სკოლის დაკომპლექტების წესი. მუხლი 13. თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების წესი). სკოლაში ახალი თანამშრომლის მიღება ხდება კონკურსის/გასაუბრების/კომპეტენტური პირების/ორგანიზაციის რეკომენდაციის საფუძველზე ან/და მოწვევით. კონკურსის ჩატარების პირობები და პროცედურები განსაზღვრულია კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ 2020 წლის 30 ივნისი ქ. თბილისი. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე). სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კონკურსი ცხადდება საჯაროდ www.teachers.gov.ge - ზე. დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა მუშაობის დრო, პირობა, შრომითი ურთიერთობების შეჩერება და შეწყვეტა, შვებულების მიცემა, მივლინება, (შვებულების მიცემის წესი, სამსახურიდან გათავისუფლების წესი, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი და ა.შ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	როგორც შესწავლილი დოკუმენტაციით ირკვევა, სკოლა სრულად ეყრდნობა კანონმდებლობას და შინაგანაწესის რეგულაციებს. შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება აქვს ყველა თანამშრომელს რაც ხელშეკრულების გაფორმების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. შესაბამისად უზრუნველყოფილია ყველა პროცესის გამჭვირვალობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • საკონკურსო დებულება; • მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ყველა თანამშრომელთან სკოლას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობებს. შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვრება: ხელშეკრულების საგანი, შრომითი ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო, დასვენების დრო, შრომის პირობები, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა და სხვა პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლების ხელშეკრულებების ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ მენტორი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულებაში არ იყო ჩანაწერი სტატუსის შესაბამისი ვალდებულებების შესახებ. ხელშეკრულებებში ასევე არ იყო ჩანაწერი თანამდებობრივი განაკვეთის, სახელფასო განაკვეთის, ფაქტობრივად ჩატარებული სამუშაოს ანაზღაურების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მისცეს რეკომენდაცია, შეიმუშაონ ხელშეკრულების თანმდევი შეთანხმება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება და აღიწერება ყველა ზემოჩამოთვლილი პუნქტი. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და ვიზიტის მსვლელობისას დაიწყო მუშაობა ხელშეკრულებებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლების ხელშეკრულებები; • ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს შიდა შეფასების სისტემის დანერგვას. ამ მიზნით კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ, შემუშავებული აქვთ ურთიერთდასწრების განრიგი, განიხილავენ წარმოჩენილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საჭიროებებს და უზიარებენ გამოცდილებას პრობლემების დაძლევის მიზნით. 2021-2022 სასწ. წელს სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში ლიდერობის მიმართულებით. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. პროცესის ხარისხიანად წარმართვისა და პერსონალის ხელშეწყობის მიზნით სკოლა იწვევს კომპეტენტურ პირებს საჭირო კონსულტაციების მიღებისა და სხვადასხვა ტრენინგის ჩატარების მიზნით. 2022 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარდა ტრენინგები: 1) კომპლექსური დავალებები; ეროვნული სასწავლო გეგმა III თაობა; 2) პროექტული სწავლება; სკოლის ადმინისტრაციისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე სკოლის დირექტორის სტანდარტი, რომელიც დამტკიცდა 2022 წლის სექტემბერში. წამყვანი და მენტორი მასწავლებლები მიზნობრივად და გეგმიურად მუშაობენ პედაგოგებთან გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. სკოლაში ტარდება შიდა ტრენინგები, რომლებსაც ორგანიზებას უწევენ სკოლის მენტორი მასწავლებლები. ტრენინგები ჩატარებულია შემდეგ საკითხებზე: ელექტრონული პორტფოლიოს წარმოება, მედიაწიგნიერება და დეზინფორმაცია, პედაგოგიური პრაქტიკის წარმართვა. სკოლის პედაგოგები არიან მეთოდური სახელმძღვანელოების, საოლიმპიადე კრებულების ავტორები მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით. აღნიშნული რესურსები ინახება სკოლის ბიბლიოთეკაში და ყველა პედაგოგს შეუძლია სარგებლობა. მათემატიკის მენტორ მასწავლებელს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო რესურსები, რომლებითაც მუშაობენ კათედრის წევრები. სკოლას ახალგაზრდა მასწავლებლის ადაპტაციისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიზნით შემუშავებული აქვს "ახალგაზრდა და დამწყები მასწავლებლის სამახსოვრო". პედაგოგები ასევე გადიან ტრენინგებს სტატუსის ფარგლებში, რომელთაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს. სკოლას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მემორანდუმის ფარგლებში მუშავდება ერთობლივი პროგრამები - სტუდენტების მიერ პედაგოგიური პრაქტიკის გავლა; სკოლის მოსწავლეთა პროფორიენტაცია; მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ჯეო სეფთისთან“. ორგანიზაციის აკრედიტებული სპეციალისტები კვალიფიციურ მომსახურებას უწევენ სკოლას შრომის უსაფრთხოების საკითხებში, რეკომენდაციებისა და ტრენინგების სახით. <u>ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გამოაცხადოს შრომის ინსპექტორის ვაკანსია, რათა შრომის უსაფრთხოების დაცვა სკოლაში სისტემურ ხასიათს ატარებდეს.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები; ადამიანური რესურსების მართვა სკოლაში; • ხარისხის მართვის დებულება; • მენტორი მასწავლებლების სამუშაო გეგმა; • კათედრის პორტფოლიოები; • მასწავლებლის შეფასების ფორმები; • ახალგაზრდა მასწავლებლის სამახსოვრო; • მასწავლებლების პორტფოლიოები; • ინტერვიუს შედეგები პედაგოგებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ინტერვიუს შედეგები სკოლის თანამშრომლებთან და ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შექმნილია დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო. პედაგოგები ინტერვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არსებული ურთიერთობები მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული. სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს საშუალება აქვს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. სკოლაში ყველა პრობლემის გადაწყვეტა ხდება გუნდურობის პრინციპით. დირექტორი და სკოლის ადმინისტრაცია, კათედრებთან ერთად, ხელს უწყობენ იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას – წარმატებული საგანმანათლებლო პრაქტიკის შესახებ გამოცდილების გაზიარებით, პროფესიული განვითარებისათვის რეგულარული შესაძლებლობების უზრუნველყოფით, კათედრის შიგნით და კათედრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობითა და მასწავლებლების შეხვედრებისთვის დროის გამოყოფით და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო გარემო ხელს უწყობს უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საშუალებას იძლევა, ყველა მასწავლებელმა, მოსწავლემ და სასკოლო საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა თავი დაცულად იგრძნოს, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოვლენას. მშობლებთნ გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სკოლა განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ მათი შვილების უსაფრთხოებას და კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები ეხმარებიან მათ შვილებს სირთულეების დაძლევაში და საჭიროების შემთხვევაში უტარებენ ინდივიდუალურ დამატებით გაკვეთილებს. მშობლებმა ისაუბრეს ასევე სკოლაში არსებულ ოჯახურ გარემოზე და ასევე იმის შესახებ, რომ მათი შვილები მშვიდ და პოზიტიურ გარემოში იღებენ განათლებას და რომ მათ ეძლევათ სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა. მოსწავლეებთან გასაუბრების დროს, რომელიც სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან ჩატარდა, გამოიკვეთა რომ მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს მათი მოტივაციის ასამაღლებლად. ისინი ხშირად მუშაობენ პროექტებზე, რაც მათ მრავალმხრივ განვითარებას ემსახურება და ასევე ხშირად თავადაც არიან ინიციატორები, რა შემთხვევაში სკოლის დირექცია აქტიურად უდგას გვერდში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სტრუქტურული ერთეულების დებულებები; • კათედრის დებულება; • მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	3.4. მასწავლებლების ხელშეკრულებების ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ მენტორი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულებაში არ იყო ჩანაწერი სტატუსის შესაბამისი ვალდებულებების შესახებ. ხელშეკრულებებში ასევე არ იყო ჩანაწერი თანამდებობრივი განაკვეთის, სახელფასო განაკვეთის, ფაქტობრივად ჩატარებული სამუშაოს ანაზღაურების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მისცეს რეკომენდაცია, შეიმუშაონ ხელშეკრულების თანმდევი შეთანხმება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება და აღიწერება ყველა ზემოჩამოთვლილი პუნქტი. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და ვიზიტის მსვლელობისას დაიწყო მუშაობა ხელშეკრულებებზე. 3.5. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ჯეო სეფთისთან“. ორგანიზაციის აკრედიტებული სპეციალისტები კვალიფიციურ მომსახურებას უწევენ სკოლას შრომის უსაფრთხოების საკითხებში, რეკომენდაციებისა და ტრენინგების სახით. ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გამოაცხადოს შრომის ინსპექტორის ვაკანსია, რათა შრომის უსაფრთხოების დაცვა სკოლაში სისტემურ ხასიათს ატარებდეს.
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

გვერდების რაოდენობა -75

თბილისი, 21.04.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.